

# საქართველოს საბჭოთავო საზოგადოებრივი მედიის საბჭო



ქართული. მანკაძე. 20.  
კგმ.



შინაარსი:

პაოლო იაშვილი.  
გ რ. რ. მ. ბ. ა. კ. ი. ძ.  
ი. გ. რ. ი. შ. ა. შ. ვ. ი. ლ.  
გ. ა. კ. ა. კ. ი. მ. ბ. ა. კ. ი. ძ.  
ე. ლ. ე. ნ. ე. დ. ა. რ. ი. ა. ნ. ი.  
ი. ვ. ყ. ი. თ. ი. ა. ნ. ი.  
ვ. გ. ა. ფ. რ. ი. ნ. დ. ა. შ. ვ. ი. ლ.  
ბ. ი. ბ. ბ. ი. მ. ბ. ა. კ. ი. ძ.  
პაოლო იაშვილი  
ნ. ლ. ო. რ. თ. ჯ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე.  
ღ. ე. ლ. ი. ჯ. ა. ფ. ა. რ. ი. ძ. ე.  
ბ. ა. მ. მ. ო. ნ. თ. ი.  
ა. ლ. ც. ი. რ. ე. კ. ი. ძ. ე.  
ა. რ. კ. უ. მ. ბ. ა. ძ. ე.  
ა. კ. ა. კ. ი. თ. ა. ლ. ა. ვ. ა.  
ბ. ი. ბ. ბ. ი. მ. ბ. ა. კ. ი. ძ. ე.

F 3073

პირველთქმა, მანიფესტი.  
სირენეს სიმღერა.  
სძინავს დედოფალს.  
მთაწმინდის ღამე, ლურჯა ცხენები.  
უვერტაურა... პირამიდები.  
სონეტი.  
სამი ლექსი.  
„ქალღვას ქალაქები“.  
„პაოლო იაშვილს“  
ქალ-ვაჟიანი,  
დღესასწაულზე.  
ორი ლექსი.  
რანდთა ლანდები.  
მინიატურა.  
ჩემი სურვილი.  
ცისფერი ყანწებით.

ყდა ლაღო ჯაფარიძისა.

რედაქტორი პაოლო იაშვილი.





პირველივე.

საქართველოს მგონებს,  
ყველა მეოცნებს,  
ქართველ ხალხს!

ისმინეთ ყველამ ჩენი ქადაგება!  
მრავალის სასიკვდილოთ გაეჩნდით ჩვენ ბინძურ მზით გამობარ  
ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაჰკარგა შეეწება სითამამისა.  
საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი  
სხივმოსილობით და ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლით გან-  
წმენდილ გზის მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ. საყვარელმა  
ნიმფებმა ასწიეს ფარდა ჩენი სცენისა, და ვგალობთ ოპრო-  
თი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე.  
პირველთქმა ჩენი არის შხამური, იგი აღდგებულ ფოლადი-  
ვით დასწავეს დაქვეს გულს, უწმინდესი ხელოვანის მტერნო,  
თქვენ, ვისაც არა გწამთ ხელოვანის შეფობა და მისი მალა-  
ლი ტაბტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდო-  
მობას. ჩენი ამაცი ოცნება გადასცილდა ყოველ საზღვარს  
და იქ, სადაც ჩვენ, უკვდავი ძმები, შევიკრიბეთ ახალი სილა-  
მასის სადიდებლათ, —ებედავთ როგორც ახალისებს ჩვენს რაინ-  
დულ არსებას ყოველი წუთი აღტაცებულ სიკაცხლისა. დრო,  
როგორც გული შეყვარებულ დელოფლისა, ისე ფარავდა ჩვენ  
ნათელს იდუმალებას, მაგრამ მოფრინდა სურვილი ოპროს  
ფრთებით და აიტაცა ცაში ჩენი სიმღერა, რომელიც ამიფ-  
რიდან იქნება მარადი ისე როგორც ჩენი ქვეყანა. საქართვე-  
ლოს ხალხო, დავიწყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირგვინების  
ღირსო!

ისმინე ჩენი ქადაგება:  
ღამური გზებით მოვდიოდით ჩვენ, რომ დაგვეთო მზე-  
კოკონი, მღუმარებით დამშვიდებულ ქვეყნისთვის. ჩვენ  
შეეხვედით შენ უკვდავ კერპებს, მაგრამ სიამაყის ცეცხ-  
ლით ანთებულებს არ გკსურდა მათთვის ლოკეების შე-  
წირვა. გვწამდა: სასიხარულო განახლება არის ჩვენში  
და ჩვენს იქით. ავედით მთაზე და არც ერთ მას არ დაუკენე-  
სია დალილობით. ჩვენ გვაოცებდა ჩენი თვალები: მათი  
ვლარება სწავდა ცივ სიბნელეს. და როდესაც აენთო ლა-  
ლისფერ ცეცხლის კოკონი, ამაღლდა ერთი ჩვენ შორის, და  
ცეცხლის ფრთებს გაატანა ცაში შემდეგი აღსარება:



ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ხალხს, მკაცრს და ისეთ გაბედულს როგორც მეფური ხელის ვაჭარენა გაგიყვებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე—ამაღლდეს ვრი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას. ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავითმყოფს, რომელმაც იგრძნო კაცთა სიკვდილისა და კიდევ ელის სიკეთეს სიკეთეს დაბრუნებას. ჩვენ ვკლავთ შიშს თავის ბნელ მანტიასში და ვუმღერით რაინდობას, სიჭაბუკეს და ალურ სიხარულს. შეუძლებელი აღარ არის. ისმინეთ ხმა ერთსული და დაინახეთ მღუმარე კარები, რომელიც ჰფარავდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას: ატირდენ ცეცხლის ხმლით დასერილი მისი რკინის ძარღვები და ამა დაჰკოცნა ჩვენი სახე ცისფრად მორთულმა ბედნიერებამ. შიშის სამყარო სიბნელეა—ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გვეწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარყვოთ წარსულს, როგორც მხით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაყეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლოთ დაიწყების ზღვაში.

ძლიერება ხალხის სულს და ავითმყოფ სხეულს! ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინათლით გაშუქებული მშვენიერება დაივიწყეთ ჩვენ,—მღელვარების, ხშივრობის და სიჩქარის მადიდებლებმა. ვისაც სურს მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მოვიარეს და საღამოს მყუდროებას, დამშვიდებულს და ტკბილ სიყვარულს, ტყის იღუმალეებს და ფრინველთა ვალოებას. ჩვენ ვვინდა, რომ საქართველო ვადიქტეს უსაზღვრო, მოცინებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას.

იმ ტაძარს, რომელშიდაც ხალხი უკანასკნელ ცოცხალ ძალას ნისლიან ლოცვაში კლავდა, ჩვენ ვუცქერთ როგორც ბოროტების სახლს. ჩვენ მოვლევარე ხელებში ამაყობენ სხივისანი პატრუქები და წითელი თვალებით ეძებენ ტაძრის დასაწყისს, რომ თავის კოცნით ერთხელ ამღერონ სასიკვდილო სიმღერით ბინძური კედლები. ისმინოს ხალხმა და დასტოვოს საყვარელი სახლი დასვენებისა. პატრუქის ნათელ თვალებს უხარია ნახვა ტაძრის დასაწყისისა...

ჩვენ ვესურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახეთ მრავალფერებს რომელთა ხალისიანი ცეკვა ვაგაგებებს თქვენ მიძინებულ თვალთა ცქერას. ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყობს თავის სიკოცხლით ისე, როგორც ჩვენი ამიერიდან ვიამაყებთ ჩვენი „პირველითქმით“, ჩვენი გაბედული აღსარებით.

საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი.---ადიდებ ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური ვატა-

უკუბრუნდებიან ჩვენი ღია კარები—ვერსიები და ბოლოები  
რი, მალაჩი, სიტყვების მესაიდუმლო და არტურ რემბო,  
სიამაყით მთვრალი, დაწყველილი ქაბუკი. ჩვენი პოეზია ვამ-  
თბარია მახვილი ინტუიციის აღსაფრთხილებლად. — შეითვისეთ: უარ-  
ყოფის სიღამაზე, გმირული სიჩქარე, განათებული სიმაღლის  
სიყვარული, მღელვარების სიღიადე, დამსხვრევის იდუმალება.  
გუყვარდით მებური მისტერიები, ცეცხლის მოკიდება მისი,  
რაც წარსულმა გააღიდა, გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს, დაი-  
ვიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ღმობიერება და ქა-  
ლური სინაზე, გიყვარდით ქალი ენებიანთ და დაუზოგავით  
ამრავლეთ ხალხი. ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს  
შუშხარებას და დალილიობას. უკვდავების სახელით მოგმართავთ,  
ხალხო: იწამეთ ჩვენი გზა თავისუფალ მომავლისა. ყველას  
ესმოდეს: ჩვენ თვით დავამსხვრეთ ჩვენს თავზე მოკვლავრე  
გვირგვინებს, როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნაპერწკალი  
ჩვენი კოკონისა მოკვდა საშუალოდ. ჩვენ ფარული თრთოლ-  
ვით უარყოფით საყვარელ დიდების ტახტს, როდესაც დაინა-  
ხავთ, რომ სხვა მალღობზე გაიხარა ახალმა განახლების კო-  
კონმა. საქართველოს ფირფხ ბელებს გადავცით ჩვენი აღსა-  
რება, ჩვენი წმინდა პირველიქმა. ჩვენ არ ვშორდებით კო-  
კონს. მოდიოთ და ისმინეთ სხვა ქადაგება, მალე იქნება მე-  
რე დღესასწაული. ვიწყვეთ ყველას, ვინც გაბედავს და ბინძურ  
ხელით შეებება ჩვენ ცისფერ ქადაგებას. ჩვენი ძლიერება  
უკვდავია, და მიტომ არ ველავთ პასუხის მოლოდინში“.

მოვისმინეთ უკვდავი სიტყვები ამაღლებულ მისა და დავი-  
ნახეთ, რომ მტრედისფერ ცაზე წითლად აიბეჭდა მისი აღსა-  
რება. მაგრამ, შორიდან, სიბნელიდან მოფრინდენ ქარის ლურ-  
ჯი მწვერვლები და ჩვენს კოკონში გადმოისროლეს სიტყვები.  
ჩვენი აღსარების მოსასმენათ მოსულიყვენ საკოდავი მომღერ-  
ლები ავთამყოფ ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ღმერთის  
ქადაგების და პატიოსნებისა, და მრავალი სხვა მახინჯი და  
დაბრმავებული, როგორც ქურდები და მათხოვრები, ისე  
შემალულიყვენ შორეულ ბუჩქებში და სწყველიდენ ჩვენ  
დღესასწაულს. იმ დროს ერთმა ჩვენგანმა, მთელის თავის  
სიძლიერით დაიძახა: „არული, არული თქვენ, საკოდავო-  
საქურისებო, და ხმა დაკარგული მომღერალნი. დაშორდით ჩვენს  
გზას და გადაიარეთ უთავალო უფსკრულში“: „არული“ გაის-  
მა ჩვენი საერთო ძახილი. შიშმა შემოკალა მათი უწმინდური  
გული და გადასცილდენ უიმედო მტრები ჩვენი გამზადებულ  
ხრამებში. აღმოსავლეთით მოგვესმა სხვა ხმა. ჩვენსკენ მოდიოდა  
საქართველოს ახალგაზრდობა და ვალობდა სიმღერას შე-  
რთებისას... შევერთდით და ერთხმად საქართველოს მომავლის  
მტრებს შევძახეთ, „არული, არული, არული“. გათენდა... ჩვე-  
ნი სახეები გადაჰკოცნა ცისფრად შემოსილმა ბედნიერებამ.  
ჩვენ მხად ვიყავით მრისხანე ბრძოლისთვის.

სირინას სიმღერა.

რეკლამიდან „ლალი და ზურმუხტი“.

ზღვა ირხევა,—

ნაკეც-ნაკეც ათამაშებს ზვირთთა —*ნავეებს;*

ზეგაწოლილს ჩემს მაგარ ტანს არხევს, არწევს, აქა —*ნავეებს.*

მზე ტანს იბანს,—

ცხელი თითით აგზნებს, მიწლის თმის და —*ლალებს,*

ტალღის ნელი პეშვით მკოცნის, უხვად მაყრის სისხლის —*ლალებს.*

ვერთვი თვლემას,—

ნელინელ თვალს ენისლება სიზმარ —*ეთი*

იღარ მახსოვს თუ ვინა ვარ, ზღვის თვალი თუ შვის ნაკვ —*ეთი.*

ტანს მეხვევა

ვაყი ვიღაც, ლალი, შმაგი, უბეი ვრ —*ცელი;*

ტკბილი ვნებით იყვება ჩვენი ჭაფის სარე —*ცელი.*

თვალსა ვახელ,—

ეს რა არის?! თითქო გვერდით არვიწ სჩ —*ანდეს!*

და ვით შეშლილს მეწყურება დაბრუნება იმა ლ —*ანდის.*

ტალღა ტალღის

შლის ნატერფალს, ზვირთნი ჰქმნიან ახალ —*ნავეებს,*

და ხალასი ზღვა მარადის ჩემს ტანს ზანტად აქა —*ნავეებს.*



სბინავს დღითვალს...

ღამეა, ღამე! ღამე უმთვარო! ჰკანკალებს ღამე, ღამე ჰკან — **კალებს;**  
 ტყის შარიშურზე მთა მასლაათობს, სიო კი ფოთლებს აშუსი — **კალებს.**  
 ბროლის ნახერხით ანაგებ კოშკში, მორთულ-მოოქვილ ზღვის ხელო — **ენებით**  
 სძინავს დედოფალს... სძინავს დედოფალს... სძინავს ცელქურად, ველოურად, — **ენებით.**  
 ახ! რა კარგია! და დედოფალი ისე სუფთაა, გასაკვ — **ირველი.**  
 ვით ყვავილებზე მაისის დილა, ვით გაზაფხულზე თოვლი ჰ — **ირველი.**  
 და უყვარს მეფეს თავის მელღლე, და ქალსაც უყვარს ისეთის — **შეებით,**  
 რომ... (მაცა! ძილში რაღაც წარმოსთქვა, ნეტა ვის უხმობს დრო გამო — **შეებით?)**

„ო, კობტა ბიჭო! ო, თმა-ხუკ — **უქავ!**  
 კარგო ვეზირო, მომეცი **ხელი**  
 დღეს, გამიგონე, თვალს ნუ მოხ — **უქავ!**  
 იყავ მღვიძარე! იყავ ფიც — **ხელი!**  
 დღეს აბანოში წასვლას ვ — **აპირებ,**  
 ბიჭო, აენტე ცეცხლოვან ე — **ინით!**  
 ჭმარს გავისტუმრებ, გავან — **აპირებ,**  
 და შენ შეგმოსავ მეფურ გვირგვ — **ინით.**  
 ორი აუზი იქ მოა — **ინარობს,**  
 იქ ისმის ჰანგი, ჰანგი მზ — **იური,**  
 ერთში ლულიდან რძე მომდ — **ინარობს**  
 და, მეორეში — **შამპან — იური.**  
 შენ თვითონ უნდა შემოხსნა — **დილი,**  
 შენ თვითონ დამხდი ხამოსს ფ — **არჩეულს,**  
 თმბ-გადაშლილი, მკერდ-გაღე — **დილი.**  
 გადაეშეებით აუზს — **არჩეულს**  
 და დიდხანს... დიდხანს ვიქნებით იქ — **ჩვენ,**  
 და დიდხანს... დიდხანს ვადაგწევე ტრფ — **ობით,**  
 მხოლოდ იცოდე: დავსჯი! შეგა — **ჩვენ!**  
 თუ შენ ვერ დამწევე ყმაწვილურ გრძნ — **ობით!...**  
 ო, კობტა ბიჭო! ო, თმა-ხუკ — **უქავ!**  
 კარგო ვეზირო, მომეცი — **ხელი!**  
 ამაღამ, გესმის, თვალს ნუ მოხ — **უქავ!**  
 იყავ მღვიძარე, იყავ ფიც — **ხელი!**“

ღამეა, ღამე! ღამე უშთვარო! ხმა სიჩუმისა მოსა — **ამურებს,**  
 ტყის შარიშურზე მთა მასლაათობს, სიო კი წყაროს ასალ — **ამურებს,**  
 ბროლის ნახერხით ანაგებ კოშკში, მორთულ-მოოქვილ ზღვის ხელო — **ენებით;**  
 სძინავს დედოფალს! სძინავს დედოფალს! სძინავს ცელქურად, ველურად, — **ენებით.**  
 ახ, რა კარგია! მარშარა სვეტი ვარდის რტოსავით გადახწე — **ქილა!**  
 კოკორთა სუნთქვა პერანგს უტოკებს, გადამფურცელია ტანზე ჩი — **ქილა!**  
 და ჟუჟვარს მეფეს თავის მეუღლეს, და ისე ჟუჟვარს დედოფალს ქ **მარი,**  
 რომ... (მაგრამ, რა ვქნათ. ცხადლოც ხომ არა? დამნაშავეა მხოლოდ სიზ — **მარი).**

### ბალახტიონს ტახიძე.

1  
 მთაწმინდის მთავარე.

ჯერ არასდროს არ შობილა მთავრე ასე წყ — **ნარი!**  
 მღუმარებით შემოსილი შეღამების ქ — **ნარი**  
 ქროლვით იწვევს კისფერ ლანდებს და ხეებში აქ — **სოვს...**  
 ასე შშვიდი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახ — **სოვს!**  
 მთავრე თითქო ზამბახია — შუქთა მკრთალი მძ — **ივით...**  
 და შორეულ მოგონების მსუბუქ სიზმარ — **ივით**  
 მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელ — **ვარე.**  
 ოჰ! არასდროს არ შობილა ასე თეთრი მთ — **ვარე.**  
 აქ, ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძ — **ილით,**  
 აქ შშობილიურ სასაფლაოს ვარდით და გვირ — **ილით**  
 ეფინება ვარსკვლავების კრთობა მხ — **იარული.**  
 ბართაშვილს აქ ჟუჟვარდა ობლად ს — **იარული.**  
 და მეც მოვკვდე საშღერებში ტბის სედიან გ — **ედათ,**  
 ოღონდ ვთქვა თუ — ღამემ სულში როგორ ჩიხ — **ედა;**  
 თუ სიზმარმა ვით შეისხა კიდან-ცამდე ფრთ — **ები**  
 და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნ — **ები;**  
 თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვავ — **ერებს**  
 მომაკედავი გედის პანგთა ვარდებს და ჩანჩქ — **ერებს;**



ვით ეფრქვევა ეს ჩანჩქერი ტბის ნაპირს და ტყ — **ეგბს**  
 და ვით ახვევს კვდომის ბურუსს ვერცხლის მდინარ — **ეგბს**;  
 თუ როგორ ვგრძნობ რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზ — **არდა,**  
 სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გ — **არდა,**  
 რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამ — **ამე,**  
 რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ლ — **ამე**;  
 რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებ — **ები,**  
 რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდ — **ები.**  
 რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქ — **ნარი...**  
 ჯერ არასდროს არ შობილა მთავარ ასე წყ — **ნარი!**

## II

### ლურჯა ცხენება.

როგორც ნისლის ნამჭერი, ჩამავალ მზით ნაფერი,  
 ელვარება ნაპირი სამუდამო მხარეში...  
 არ სჩანდა შენაპირი, ვერ ენახე ვერაფერი  
 ცივ და მიუსაფარი მდუმარების ვარემე.  
 მდუმარების ვარემე და სიცივის თარეში  
 სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა.  
 ცეცხლი არ კრთის თვალეში, წევხარ ცივ სამარეში,  
 წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.  
 შეშლილი სახეებით. ჩონჩხიანი ტყეებით,  
 უსულდგებულო დღეები რბიან, მიიქარიან,  
 სიზმარიან ჩვენებით, ჩემი ლურჯა ცხენებით  
 ჩემთან მოესვენებით... ყველანი აქ არიან!  
 იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება!  
 ცრემლით არ ინამება სამუდამო ბაღიში.  
 გაჰქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,  
 ვით სულის ბმოვანება ლოცვის-სიმზურვალეში.  
 ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
 ჩქარი გრგვინვა-გრილით ჰქარიან ლურჯა ცხენები!  
 ყვაივლინი არ არიან, არც შვება-სიზმარია,  
 ეხლა კი სამარეა შენი ვანსასვენები.  
 რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს,  
 ვინ გაიგებს შენს სახელს, სახელს ვინ დაიჯერებს?  
 ვერაფერს განუგეშებს საოცრების უბეში,  
 სძინავთ ბნელ ხეფულეებში გამოლუნობ ქიმერებს.  
 მხოლოდ შეუქთა კამარა, ვერაფერმა დაჰფარა:  
 მშრალ რიცხვების ამარა — უდაბნოში დღელდება.  
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
 უსულდგებულო დღეები ჩნდება და ქვსკენლდება.  
 მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში,  
 ზევით თუ სამარეში — წყველით შენაჩვენები,  
 როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი  
 ჩქარი გრგვინვა-გრილით ჰქარიან ლურჯა ცხენები.

უკურცაურა.

ისე მოვედი, რომ არაინ არ მომ — ელოდა,  
 მივეცი კოცნა მებღეს და... გაილა კ — არი,  
 მარტო ვიყავი!.. ჩემს გარშემო ლურჯად ბნ — ელოდა,  
 მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე ქამ — არი!..  
 გავყვეთ სიძღვრებს! ჩემი ვნება აღდ — ართულია  
 და ის მახარებს, მამისებს ბაღში შე — მოსულს,  
 რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაკ ქ — ართულია,  
 ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგიყ — რომ მსურს.  
 ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც — ოცნება,  
 ჩემი წუხილი, სიხარულიც ტრფობის ბ — რალია,  
 ჩემს სხეულს შეფობს ხან სინაზე, ხან სა — ოცრება,  
 დედოფლობს გული! ის ყოველთვის მომღე — რალია.

\* \* \*

მაგაგებს სიათია! ვერ ვაგუე ფარჩას სსანია.

ჩემიდან.

უკანასკნელი მოვიხსენი ტ — ანსაფარავი,  
 დაღუპებულ მხრებს ელანდება შეხება — ნელი,  
 საენებო გზაზე სიბნელეა, არ სჩ — ანს არაინ,  
 სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკ — ნელი.  
 დამეძინება... გათავდება ზანტი ზ — შორება.  
 და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელ — უხლები;  
 ძილში ჩემს მუცელს ვილაც ვაფი ეამ — ბორება  
 და ვნებისაგან ილუნება ჩემი მ — უხლები.  
 მზის აყვავება გამომტაცებს მწველ აღ — ამიანს,  
 (ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემ — ატა!)  
 და დაღონებულს, ვაეის კოცნას, კოცნას ნ — ამიანს.  
 ვარდისფერ ენით მომაგონებს გამთბარი კ — აა.

პირამიდებში.

იქ, სადაც სღუმან პირა — მიღები,  
 მზის ქორწილის დროს, მე დავწეები მზისფერ — სილაზე,  
 იქ, სადაც სღუმან პირა — მიღები,  
 შენ მო — მინდები,  
 შენი თვალეზი, შენი მკლავები, შენი — სინაზე.



შენ მოგაფრენს ცხენი არ — **აბული**,  
 თვალზე დან — **აბული**.  
 საყვარელ ხელებს მივეცემი, როგორც ნაზ ს — **აწოლს**  
 და შენ დამოკნის ვით დედოფალს, ვით მონას დ — **აკოლს**.  
 ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩენი თა — **მაში**,  
 მზიურებს — **მაშინ**.  
 არაფერი მოგვავ — **ონდება...**  
 პირამიდებში ატირდება ლოდინით — **რაში**,  
 ლურჯ სფინქსთან მივა უცქერს დიდხანს და დაღ — **ონდება**.

სილიან ტანით მდინარისკენ გავემ — **ურებით**,  
 მწვანე ტალღებში დაეამწვიდებთ ჩენს ღელვას, ა — **ლურს**,  
 გამოფხიზლდება შენი რაში სფინქსის ყ — **ურებით**,  
 დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვა — **რულს**.

**ივ. ყიფიანი.**

**სთნოცი.**

შავგვრემან მიწას ვერცხლის ღიმილს უმზერდა მთ — **ვარე**,  
 ჰაერს ათბობდენ სურნელებით თეთრი ვ — **არდები**,  
 ღერწმუნების შრიალს ყურს უვდებდა ტბა მოელ — **ვარე**,  
 საგაზაფხულო ჰიმნს უკრავდენ ღამის ,,ბ — **არდები**“.

აღისფერ ბაგით შენ ღაწვებზე ლურჯ იებს ვწ — **ერდი**,  
 მოცინარ ხელით გაგიხსენი მუნჯი ღ — **ილები**,  
 ხავერდის მოლად გაგიშალე ფოლადის მკ — **ერდი**,  
 შენ შორცხვათ ჩემს ტუჩს დაეკონე განაღ — **იმები**;

ცხელი მკლავები შემომხვიე ალური ვ — **ნებით**,  
 გული დამიწვი არაბეთის თეთრი მზის გზ — **ნებით**...  
 ორი მტევანი ბროლ-ფიქალზე ნახად გ — **იკაროდა**...

დარაჯათ გვიდგა ფერწასული იღუმ — **ილება**,  
 სულში ცეკვავდა გაზაფხული ცისფერთვ — **ილება**  
 და ნეტარების მწველ კოცონზე ტანი გვ — **ითრავოდა**.

I

ღაზის ფთვინეობა.

ეს უცხო ღამე, ვით შავი d —**ილი**,  
დაეჭვება, ყნოსავს უზილაე —**ვარდებს**.  
სანამ ვარსკვლავობს ცისა სიმ —**ილე**,  
ყვავილებ შორის ის ინა —**ვარდებს**.

იდუმალ ცაზე მთვარე უძრ —**ივი**  
ბნელი ღრუბლების კრთომით ნალ —**ესი**,—  
—როგორც ფეშვუშზე ნაკვეთი თ —**ივი**  
ნათლისმცემლის იოან —**ესი**.

ვარ მარტოობის ჯვარზე გა —**კრული**,  
მხოლოდ ღამეა ჩემი —**ტაბარი**,  
და შავ წყვილიდში, ყველისგან —**კრული**,  
მივდივარ, როგორც ელე —**იზარი**

II.

ჩემს აჩრდილს.

ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ შევლი —**ნება**,  
ვისი თვალეზი ემუქრება ჩემს ფერმკრთალ თვ —**ილებს?**  
ნუ თუ მე მიცქერს საკუთარი ჩემი ჩვე —**ნება**,  
ნუ თუ ჩემს გულში მისტიური შიში ი —**ილებს?**

მისი ღიმილი ჩემში ბნელად გაიშრ —**იილებს**.  
უშიშარი დღის საღლა არის ცხადი ხსენ —**ება?**  
თეთრი ოცნება გადარჩენის თანდათან ქრ —**ება**,  
—დამწვარ სხეულის ჩემს გარშემო სუნის ტრ —**იილებს**.

ასე სასტიკათ რად მიცქერი მწუხარე ლ —**ანდო**,  
ჩემი წამება, უღმობელო, შენ ვინ მოვ —**ანდო?**  
ვინ გაგიმთვარა აგზნებული, ტანჯული ს —**ახე**,

სარკის შორეულ კანკალითა რომ დავინ —**ახე?**  
გადიდდა სარკე, ზვირთებიან ზღვით გარდაქმნ —**ილი**,  
და მის ტალღებში იძირება ჩემი აჩრდ —**ილი!**

III

Interieur.

«Եւոտեմ սանտելս Երւթելլիս Կին, Մոտենտիլ Ե —**ելլոտ,**  
 ԳաճաջՅլի ԵոճԼեդրի, ԳաճԵլլկիտԵձ Եիս «Մարտո —**ոՅաս».**  
 ՄեճԿլիան Լանճնի, ՄԵՅՕ Լանճնի: «Քիււն Մեն Մոգ —**ելլոտ,**  
 «Մեմոգլլեդրի ԵճԼոճեղո, ԳիճԵճաճեմ ճՄ —**ոՅաս.**

«Քիււն Մեգլլկլլարճա Մենի ՏաԵ, ՔիււնՏալլո ՄԵրո —**ալլո,**  
 «Մենի ՕճՆեճա ՄլլլեճԼո, Գրճճոճա ՏՆ —**լլեղլլո,**  
 «ՆՄ ՄեգաՄլլնեճ լաՄլլճեդրի Քիււնի Մրի —**ալլո,**  
 «Քիււնի ալլերՏի, Քիււնի Կրոճոճա, ՅՄա Մոր —**լլեղլլո.**

«ԼճԵճ Գեճալճեճա ՄիււճԵլլաճլլաճն Մեն Քիււնի Գ —**լլնճլլո,**  
 «ԳեճՄլլճարճեմիտ, ՐոճՄ ՌիճՄո Քիււնի Յճաճ —**արի.**  
 «Քաճիււ ՄեճԵճԼլո, ՏաՄՄոճճԼոճՄի Ռճեճ Լաճճ —**լլնճլլո,**  
 «ԳճՏՄլլՏ, Րոգլլոր Քիււնի Տաճլլկեճլլո Մարաճլլ Ք —**արի!**

«ԳաճեճԵ ՄՅոլոլճ, Մարկլլկլլ Եճ Կոճճնա ճ —**ճեղլլո,**  
 «Տլլնալլեղ ՄՅլլՏա Լա Լճեղլլեճի Գաճե —**արճեճա,**  
 «Լա Մեն ՄլլճեճԵճլլ, ՕՄ Րա արլլՏ ՄլլճարլլՏ Տլլր —**ճեղլլո,**  
 «Լա Մեն ԳալլԳեճ, ՕՄ Րա արլլՏ Լանճնի ՄՅ —**օգլլրճեճա!»**

«Եճեղ ՕղլլաՏա Լա Գաճիււճեճա Լանճա Լ —**րլլճեղլլո,**  
 — ՔեճՏ Կլլն ԵոճԼեդրի, ԳաճաՄլլլլլոլլ Ելլո Տաճ —**արճեճա:**  
 Գլլլլր Օղլլեճեմիտ ՄեմոՄճեճԵճ Կեճլլ Գ —**րլլճեղլլո,**  
 ՏլլնաճԼլլոլլեղճլլ լաճճրլլնեճա Լաճեճ —**արճեճա.**

წიგნიდან „ქალღვას ქალაქში.“

გაფიხის ვარდი მე პრუდომის ჩაედე ვა —**ზაში**,  
 ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავ —**ილეებს**.  
 და რაც შემხედება, გამაჩერებს შორეულ გ —**ზაში**,  
 ჩემ მწყობრ ლექსებში დაისვენებს და დაიჩრდ —**ილეებს**.  
 გრძნობის სიჭარბე, ვიცი, მხოლოდ გრძნობას ამკრ —**თალებს**.  
 უვნებო ვნებით მინდა ვწავედე ვნებიან —**თვალებს**.  
 და ჩემი ჩანგი სირცხვილიდან დაიმტვრ —**ეოლა**.  
 თუ მისი ლექსი გიტარაზე მოესმ —**ებოდა**.  
 ვიცი, რომ მოვა საყვარელი, ვისაც მოვ —**ელი**,  
 რომელის ლხენა იქნეს შავი-თეთრი ნაღვ —**ელი**.  
 და წაუციოხავ, ვუმღერებ მას ჩემ „ქალღვ —**ახე**“.  
 ჩამავალი მზის გაგვაბრწყინებს ჩვენ სიღამ —**ახე!**...  
 ვუტკეპრ გულ გრილად წარმოდგენას, ვტირი ანტრ —**აქტებს**.  
 დაფიწყებული სიტყვებისას ვგრძნობ ანდამ —**ატებს**.  
 და თუ არ ამყვა ხმა სამღერათ, გაშლილი, ლ —**ალი**.  
 უხმო ბუღბუღსაც დამაფასებს ქართული ბ —**ალი**.  
 ზ.

გველი შორი გზა... და ოცნება უსაზღვრო გ —**ზებზე**,  
 მზის სიცხოველე, მზით მოთენთა, სიმღერა მ —**ზებზე!**...  
 ჩემში სტირიან წინაპარნი—ბრძენი მოგ —**ვები**.  
 დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან მიგყ —**ვები**.  
 ძველი სიტყვები დაფიცების დაფიწყ —**ებული**,  
 ძველი ქალაქი—ღღეს ნაცარი, უწინ ქ —**ებული**,  
 ძველი ქალღვა წვავს ოცნებას და ეძახის —**სულს**,  
 ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარ —**სულს**...  
 კვლავ გაბრწყინდება სიდონისკენ მიმავალი —**გზა**,  
 თეთრ უღბანოში გაიშლება საკუროთხევ —**ელი**,  
 რომ სთქვას ქებანი გული—ჩანგი უკვე არი —**შა**,  
 მბრძანებელ ჩრდილთა მოწოდებას მხოლოდ მოვ —**ელი**.  
 მარტო ვიქნები, მარტოობას წინაღვე ვსტ —**ირი**,  
 მაგრამ ამითი არ შეშინდეს გვიანი მწ —**ირი**.  
 მესმის-მეძახის, ეხედავ-მხედავს, ვიჩქარი, მივ —**ქრი**,  
 ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი, დაფორინავს ფი —**ქრი**.  
 გველი შორი გზა... და ოცნება უსაზღვრო გ —**ზებზე**.  
 ჩემი საფლავი ძველ ქალღვას ექნება მ —**ზებზე!**...



პაოლო იაშვილს—მომეწეინა ყვითელი დანტი,  
ვაქები შექსპირს—მაგრამ ფარდა!... შექსპირს უარი!..  
რა ექნა, რომ ჩემთვის ბეთაოვენი მხოლოდ ყრუ არი,  
და რომ წარსულმა ვერ გადმოცა მე ანდამანტი ..

ვფიქრობ ლექსებით—ჩქარი და ხან გველივით ზანტი,  
მაგრამ ყოველთვის მიხარია ცეცხლის ანთება.  
ჩემი ოცნების ნაპერწკლები ხალხს გადვუფანტე...  
და უკვდავება ცივ ხელებით მე მელანდება.



ქალ-ვაჟიანი  
(ტრაგედიის ნატეხები)

**პროლოგი**

**ვაჟი** ... ყოველი არის და ოცნება თქვენს გარშემო ტრიალებს, რომ ოდნავი ღირებულება თქვენ მიანიჭოთ...  
**ქალი.** (აჭვინის დამოხაო) მზე?...  
**ვაჟი.** ... მხოლოდ მით არის დიდებული, რომ სხივებს თქვენს სახეზე აღნობს და მისის ჩასვლის მრავალ ფეროვან მშვენიერებით თქვენ სტებებით...  
**ქალი.** როკფელდერის მილიარდები?  
**ვაჟი.** თქვენის ნების ასასრულებლათ არის მოხვეჭილი...  
**ქალი.** გიოტე?  
**ვაჟი.** თაყვანსა ესევით, როგორც თქვენის, გრეტხენის, მარად „ქალურის“ „Ewigweibliche“-ს მხატვარს.  
**ქალი.** (გაფლუგა დაგინეო)... ზღაპარია.

**ეპილოგი**

**ვაჟის წერილი ქალისადმი.**

თქვენ ახლა ოთახში უსათუო მარტო დადიხართ; ფიქრობთ და ფიქრობთ. ერთ და იმავე საგანს არ შორდება ფიქრი, და აზრი გადაწყვეტილი ვერ შევიდგენიათ: ხან ოცნება სძლევს, ხან კი ნააზრევი ძირს უთხრის სასურველს. ასეთ წამში მსურს გაფართოთ. შორს ფარ. თქვენი სახე კი თვალ წინა მატეს. ვიამბობთ ერთ ზღაპარს. თუ როგორ გაიღვსა ვენებათაღელვა სიყვარულში, თუ როგორ დაუთმო წუთიერმა ეინმა ადგილი სამარადისო ტრფილს. მოსაწყენი, სამწუხარო ამბავია პირველ წაკითხვისას, მაგრამ გულის საოხია, წამალია ტრფილით სნეულისათვის. დამიგდეთ ყური. ერთი ორი წუთით ძალა დაატანეთ თავს, დაივიწყეთ პირადი ბოღმა.

დაჯექით აი ამ ტახტზე, მუხლზე დაიდეთ მუთაქა, ზედ დააბჯინეთ მკლავი, თავი ხელზე დააყრდნეთ და შავი მეოცნებე თვალეზი შე მოამაჰყარით. ეს საქირია ჩემთვის: თქვენი ასეთი პოზა კალამს აამტყველებს და სინაზეს ჩაპბერს საწერელში:

„იყო და არა იყო რა...“ წყეულიმც იყო ზღაპარი... არაფერი არ ყოფილა... იყავით მხოლოდ თქვენ... მარტო თქვენ... თქვენთან ერთად ყოველივე გაქრა, მიიძალა. მზე ათობს და ანათებს, ძველი წარმტაკი მიმზიდველობა, სიკოცხლის აღმძვრელი ძალა კი დაჰკარავა. წინათ მსურდა ძალა შემეძინა სიმდიდრისა, ცოდნისა, მზარ-მკლავისა, დღეს კი ჩემთვის სულ ერთია მარგალიტი და ფეტვის მარცვალი, მეცნიერული კანონი და მკითხავის შელოცვები. სულ ერთია ჩემთვის წისქვილის ბორბალის შევსებრებ, თუ ქარი წამიღებს მისუსტებულს. გუშინ „ფაუსტს“ დავესწარი და გრეტხენის ცნობილ არიის დროს მიმეთვლია.

უკაცრავთ, ქალბატონო, ზღაპარს ვერ ვიამბობთ... თქვენი გართობა ძლიერ მსურდა, მაგრამ არ შემიძლია.

ქალბატონო, მომიტყევთ, ძლიერ, ძლიერ გერიდებოდით, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ნამეტანი ვიტანჯები.






დღისასწაუღბო.

ყველა სანთლები აუნთიათ შუა დარბაზში, გამოწყობილან საზეიმოთ უცხო ასულნი. დღეს ბრუნდება შორეთიდან ტურფა ზარნაში—ზარნაშის ხილვას მოელიან კრთომით ვაგები. შავ ტანსაცმელზე ამოდიან თეთრი ვარდები, თეთრი ვარდები ზეიმისთვის მხოლოდ გაშლილნი. და ირევიან დიდ დარბაზში შავი ლანდები და მორთულობით ერთმანეთსა ემუქრებიან. არავის აქცევს ყურადღებას ნაზი ზარნაში, იგი არ ნატრობს არავისთან განმარტობას, და მიბნედილან იის ფერად მისი თვალები. ვარდები კრთიან გამზადებულ თაიგულებში, როცა ზარნაში სურნელობით თვითვე ზამბახობს, და იმის რბევას ქანდაკებულ რითმებით ამკობს მგოსანთა წყება შესანიშნავ ტანსაცმელებში.

დედოფლის ტუჩზე მოვიპარე საამო ღიმი; გული ჩემი ახალ გრძობით ათასხმაურდა. და შეიშო სინარნარით მეფის ნადიში... ჩემი ფეხები თლილ ფეხებში აშინაურდა. ამ საღამოს მე-ნაწი თქვენი თანამზღებელი, და ნადიზე მე ვადიდებ თქვენს ბრწყინვალეობას, ყოველი ლექსი, ჩემი თითო საგალობელი, თქვენს დიდებას მხოლოდ სწირავს შექებათა ქებას...

ყველა სანთლები აუნთიათ შუა დარბაზში, გამოწყობილან საზეიმოთ უცხო ასულნი... ჩვენ ორი ვმეტობთ ამ ნადიზე: მე და ზარნაში, და მოწვეულნი მოელიან ახალ ბრძანებას...

ბალმონების ორი ლექსი



ჩაიხილეთ სიხარული და სიხარული,  
ჩაიხილეთ სიხარული და სიხარული,  
სიხარული და სიხარული და სიხარული,  
სიხარული და სიხარული და სიხარული,  
სიხარული და სიხარული და სიხარული,  
სიხარული და სიხარული და სიხარული,  
სიხარული და სიხარული და სიხარული,  
სიხარული და სიხარული და სიხარული.

1915. X. 7.

ქიმი

K. Tsakadze

## აღ. ციხელიძე.

### ჩაიხილეთ ლანდუმი.

ორი ზურმუხტოვანი მთის შუა მდინარის პირას ხავსიანი ნანგრევები რომ, იგი მოჩვენებათა სასახლეა.

როცა შეღამდება და მთები დაიძინებენ, მაშინ შეთრთოლდება ნანგრევები; ნელინელ ამბარებთა მარმარილოს თაღები; ვადამხარი ბუჩქნარი ია-ვარდით აყვივლდება; აწანწკარდებიან ოქროთი მოკედლი შადრევნები; სიყვარულის ზღაპრებზე აღაპარაკდება ფერცხლის წყარო, დღისით რომ ათასწლოვან ცაცხვის ძირში იმალება. ჩუქურთმიან ფანჯრებში შუქი ათამაშდება...

ამრეშუმის ხალიჩებით მორთული დარბაზი ვარდისფერ მარმარილოსი, ფარჩითა და ხვევრდით მოსილი თავადებით აივსება. ყველა გულისტეგით ელოდება დედოფალს.

გაიღება ყარები და გამოაბრძანდება დედოფალი; მისი შევენება კედლებსაც ახალისებს; აკოკრილ მკერდზე შეავთმელეღვარ დალაღში დაბნეული მარგალიტები ათასფრად ელავენ.

თვალისკარა ქალწულები იასა და იასამანს უფენენ დედოფალს.

სიყვარულთა და სასოებით შესცქერიან თავადები.

მეფურათ ავა ლალითა და ბრილიანტით მოკეჭილ ტახტზე, თვალს გადაავლებს ძვირფასი ფერებით მოვლევარ დარბაზს და იტყვის:

— თავადებო! ბარის მეფე ჩემთვის გიყვდება; ბარის მეფე ჩემს მოტაცებას აპირებს.

და აღელდება კრებულად, აჩხარუნდება ლეკურები.

— არასოდეს! უწინამკ მიწა დაგვეყრება! — შეფიცავენ ლომივით თავადები თავის დედოფალს.

შამოპარულ რიერაჟში დნება გულთამაყი აირდილები, ჩუქურთმიან ფანჯრებში სინათლე ქრება და მარმარილოს თაღები ხავსით იმოსება.



**მინიატურა — ტლმანდან.**

„... და ამა, უღრანი ტყის ფარული უბიდან გამოვიდა უცხო ვინმე, მკერდლია და თავ-  
შიშველი. შორეული მთებიდან ჩამოდოდა იგი. გლონია წიფელივით ასულს მის ტანს  
მძღვრობისა და დიადობის იერი აშუქებდა. შორს მჭვრეტი თვალი მზეს გაუსწორა, წარ-  
ბი გაიხსნა და მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა შუადღის ძილით მიყუჩებულს ლილისჭერ  
ტბას, რომლის გრილ წიაღშიც ეამთა ცვალებადობას ოდესმე ღრმად დაემარხა აწ უნო  
ბარის დიდება და მომავალი. დედამიწას ემძიმება მეფური სვლა მისი. შესდგა და არწი-  
ვის მჭრელი თვალი ტბის გულს დაარქო, ვით შუბი მძღვრად ნაკრავი. მყის შეირხა,  
ატორტმანდა წყალი მძინარე: შეტბორებული ზედაპირი მისი ამბოხების სურვილმა მოი-  
ცა და ქაფად ქცეული ტალღები ბრახზორეული ღრენით კიდეთ მიასკდენ, რათა ცი-  
ვი ამბორით გულს ჩაეკრათ იგი. ვინც კანნიერი ქირვეულობით აღაშფოთა მყუდროება  
მთი. იგი კი იღდა წარბშეუხრელი. მრისხანე ზვირთთა ამონაქმენი სპეტაკ მხეფებად  
ეფინებოდა მის შიშველ გულ-მკერდს, სასტიკი ქარი ძღვევის დროშად აფრიალებდა ბრინ-  
ჯაოს ბეჭებზე დაყრილს მის ხეულ თმას, ხოლო მგრგინავი სამყარო დამყარებული  
ქუხილით იწვევდა მას საპასუხოდ.

მაშინ გმირმა განაპყრო უძლეველი მარჯვენა ამღვრეულ წყალს და ბრძანებით უბ-  
მო: „აღსდევინ!“

ამბოქრებულ ტბის გული მშობიარობის კენესით შუა გაიპო და აქაფებულ ზედაპირს  
ტივტივით ამოსცურდა ოქროს აკვანი. გმირმა მოწიწებით მუბლი მოიდრიკა მისა  
წინაშე და გამარჯვება ულოცა შიგ მწოლარე ყრმას.

უტკრად სტიქიონის მრისხანებას საცო დაედვა: ქარი მოტყადა, ტბა დაშოშმინდა,  
ტყემაც შესწყვიტა ზუილი და ბურუსაკრეფილს მთათა წვევრვალოს კვლავ დაატკრდა  
თვალბრიალა მზე.

და შორს, შორს... მთათა გადაღმა, მწვანედ დაფენილს ვენახებს და ოქროსფერ  
ყანებს ძილ-ღვიძრად ესმით გამოძახილი: „აღსდევინ!“

**პაპაი ფალავა.**

**ჩემი სურვილი.**

სიკვდილი — საცდესლფა.

ბუნად ძაბთულ თაგვრს.

შევიძლიანთ თუ არა ეზიაროთ ჩემს სულისკვეთებას?  
მე მინდა დავასამარო სათაყვანებელი საგანი ჩემი. უნდა ვუვებლობო გალობა  
განსვენებისა მას, რომელსაც ვეტრფი დლიდან პირველად ხილვისა, უნდა ვესურვო  
სიკვდილი იმას, ვისი სიცოცხლეც ასე მწყურიან. მხოლოდ მოსპობა თუ გან-  
ახლებს, აღადგენს ჩემს სამლოცველოს.

პირველად ჩემს არსებაში შემოიჭრა იგი ვით მომხიბლავი ზეარსება... და და-  
მიმონა. ეს იყო წუთი მოჯადოებისა, ეს იყო მომენტი: პირველხილკით დაბრმავე-  
ბისა.—აქ მოსკდა უძლეველი ნაკადი, ზეავივით დაეშა ძირს, მაგრამ როდესაც  
სინამდვილის მდინარე ნახა, სრბოლა გაჰყინა.—აქ იშვა ტრაგედია სულითა და  
გაიჭრა ძებნად ქეშპარტი ღვთაებისა.

ძებნად გაქრული მიველ სასწაულ ტურუმებთან ტანთ განვიძარცვე, ფეხთ-შიშვე-  
ლი შეველ ახალ ტაძარში, უცხო მხარეს, შორს ნაცნობ და მეგობართაგან, შორს  
სამშობლოსგან.—და აღვიცხვე იქ მორჩილად... მწყურვალე ვლოცულობდი იქ,  
დღე და ღამ ვლოცულობდი, ვლოცულობდი მხურვალედ, ზე აღვავლენდი მეზნებარე  
ლაღადს, ცრემლის ნაკადს ვაჩხრიალებდი აღტაცებისგან.—იქ ღმერთები მიმოვიდოდენ  
და სილამაზეს შილიდენ ფინად: ზად... სულს ებასებოდენ, გულს ატაკებდენ,  
გრძობობას ათრობდენ... თითო მათგანი უხილავ ძაფს აწვრიდა ჩემს სულს. აქ  
იქმნებოდა ახალი ლოცვა, იბადებოდა ახალი სიტყვა, იშლებოდა ახალი სახეები.—  
ცარიელი, მუწჯი ქვეყანა ხმაურდებოდა ახალი სიკაცხლით. დრო მიდიოდა...

თანდათან და წელიწადი გვრდებოდა საგანძურებს და უხილავ ძაფთა კონას ვხლართავ-  
დი: ერთი კონა — შრავალსახიერი, და მასთან მთლიანი იჭრებოდა. ვხა მეტად ეკლიანი  
გამოდგა. ოცნებისა და სწრაფის სფეროს სინამდვილე მოსვენებას არ აძლევდა...  
სული მაძიებელი ვერ უჩივდებოდა ძილს თავის თვისტომთა, რომელთაც ბარად  
განსვენათ.—ისინი ყოველდღიური სინამდვილის რკალში ზარტყანებულნი სიამ-  
ტებლობით შეეჭკოდნენ მდორე და აშშორებულ მდინარის წყალსა, რომელსაც  
ელტვა ნაკადი ჩემი სულისა. უზრავლ ტანჯვას განვიცდიდი, როცა წარმომიდგებოდა  
მომავლის ბედის წუთი, როდესაც იძულებული შევიქმნებოდი ჩემი ტაძარი იქ,  
ბარში, თვისტომთა წრეში გადამეტანა. დადგა ეამი და მოახლოვდა დასასრული  
დასაწყისისა—სრულყოფილი მორჩილი გამოვექცე ჩემს მოამატარს, სხად ვისწავლე  
სადღეშობოება ღვთისმსახურებისა. მოვიწოდებ ვით ტიტანმა პროპიეთოსმა ახალი  
ცეცხლი მომეტანა, მეწვიებინა იგი, რომ აღის კოკონს გამოეფხიზლებინა თვისნი  
ჩემნი სამარისებურ ძილისაგან. მაგრამ დაუნდობელსა და მტკიცე სინამდვილეს  
ისეთი ატმოსფერა შეექმნა აქ, რომ ცეცხლი უძღურებდა სასწაული მოხდინა.  
ჩემს მიერ ატებული ახალი ტაძარი, ჯერ უცნობი და უხილავი, ეამის სიფხიზლით  
დარაჯეული, მარმარილოდ ნაკვეთი სდგას გულჩახორბილი და მომლოდინე.  
მის კართა ბქე გახსნის თიბოვს. მაგრამ სანამდის აქ აწმყო გამეფებული, მას არ  
სურს მომაცდევთა სათელად გახდეს. მას სწყურიათ ახალი ადამიანი—მახილი გო-  
ნებით, სპეტაკი სულით და მეზნებარე გრძობით, რომ მასთან ერთად მივეც  
შეზარსის ქებათა-ქებას და მოავლინოს ახალი სიტყვა, ახალი გრძობა, ახალი  
განცდა—ჯერ უხილავი რამ.—სწორედ ამისთვის მიემართე მაშინ ყოველად მძლე  
სიკვდილს. გამოვუხმე ტანტალის სამეფოდან და ვუბრძანე ლეტის ტალღებში  
შთაენთქა აწმყო, მით განეწმინდა მომხამული ატმოსფერა, რომ ამით შესაძლებელი  
ყოფილიყო ახალი ცხოვრების დაწყება, რომ ახალ სამლოცველოს ზარებს ახლად  
შობილთა ყურთა სმენა მიეპყრა და ახალი სიკაცხლე გადემშალა. მხოლოდ აქ  
იშვის სანეტარო მომავალი.

ასეთია კენესა ჩემის ტანჯულის სულისა. ასეთია რწმენა ჩემ-ს ცივის გონე-  
ბისა, მხოლოდ სიკვდილი სუ ვიხსნის შენ, ჩემო ძვირფასო! სიკვდილს იმიტომ  
გისურებებ, რომ მწყურიათ შენი განახლება, შენი აღდგომა... ამიტომაც მრწამს,  
რომ მხოლოდ დასაფლავებით აწმყოსი მოგენიჭება ცხოვრება განახლებულია,

რადგან: სიკვდილი ძმნის სიღვლეულს.

ვისაყობა ყანჩუღით.

მოდერნული ხელოვნება ღვიძლი შეილია ქალაქის. მოვრალი გოლიათის სუნთქვით გაიზარდა იგი, მის აყვანზე ნიმფების მაგიერ მოხეტიალე მემუსიკენი მღეროდნენ ნანას, ბუნებას არ უწოვებია მისთვის ძუძუ, შავი ქალაქის ნისლით და მეთომარე გაზით იზრდებოდა. ამიტომ დასაბამითვე მას თან დაეყა ნაღველი პირველყოფილი ლალი ცხოვრების მოვარებისა, ქალაქის ელექტრონის ფარნებზე წარმოუდგებოდა ნანატრი წარსული. სარწმუნოება მკედარია, მაგრამ უამისოდ არ შეიძლება ცხოვრება, აქ იწყება მითის ქმნა, გაძარცულ სამხვევრბლოზე ჩნდებიან მითის მქნელნი.

ძველი პატრიარქალური კულტურა ირღვევა. ეს სიკვდილი ძველი ქვეყნის გამოიტარა ბელგიელმა პოეტმა ემილ ვერჰარნმა წიგნში: „სოფელნი აჩრდილნი“. ქალაქი მბრძანებლობს.

ახალი ფუტურისტების ტერმინოლოგიით თანამედროვე კულტურა წარმოადგენს უზარმაზარ ქალაქს, ლონდონს, ნიუორკს, პამბურგს, სადაც ტრუბები მალაია ტაძრებზე, სადაც ცოფინად მიჰქრიან ავტომობილები და გასაფრენად დარაზმულან ცეპელინები. აქ დრო არ არის უკან მოხედვის, აქ შეიქმნა წუთის კულტი. პოეტის შეგნება დამძიმდარუბრკინის ქალაქით და ამოხეტია ახალ უცნობ სიმღერაში: პოლ ვერლენის „ყოქლი სონეტი“, ალ. ბლოკის „ბალავანჩიკი“ ასახვავა ამ ახალი შეცნობის. ასე იქმნება თანდათან ახალი სახე ვიზიონერების.

და მოდერნიზმი სიმღერავა ამ ვიზიონერების.

„ჩემ წინ იშლებიან, ამბობს ინგლისელი მწერალი მორისი, მწუხარე სურათები, თანამედროვე ტალახიანი ბურკუთაზიული კულტურა შედის ყველგან, სპობს რა თავის მგზავრობაში ყველაფერს კარგს ძველი დროიდან დანარჩენს, მთელ სამყაროს ხუთავს თავის ხევენაში, ცხოვრება შეიქმნა ვეებერთელა კანტორა. პომეროსის ადგილი უკავია ჰექსლის, ცეცხლის პოემები ბაირონის და შელლის თანდათან იღვენებიან ბეჯითი კანტორის წიგნებით“.

კანტორის წიგნებმა ვერ დაფარეს, მართალია, პოეზია, ბაირონის და შელლის პოემებს მოჰყვენ: სტეფანე მალარმეს „იროლიადა“, პ. ვერლენის „სატურნიული პოემები“ და ალ. ბლოკის „თოვლის ქალწული“, მაგრამ აქ უფრო მზილდება როგორ დაშორდნენ ერთმანეთს მხატვარი და ბუნება.

აქ ჩნდება ორი პოლიუსი, რომელნიც არასოდეს არ შეერთდებიან.

მხატვრული მაგალითით ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ერთი მხრივ: ვაჟა-ფშაველა პანის ღვთაებრივი მქვერტელი, ხევის ნიაღვრით დასოლებული მუხით, რომლისთვისაც ბუნება ემბაზიც იყო, საქორწინო საწოლიც და კუბოც. ვაჟაში არ არის სტილიზაცია ბუნების, როგორც ფრანგ პოეტ დიუჟარდენში, რომელიც აცოცხლებს ბუკოლიკას. ვაჟა ხელუხლებელი ბუნებაა.

მეორე მხრივ: ოასკარ უაილდი, რომელმაც ბუნებას ხელოვნების მოსამსახურის როლი

აქისრა. მართალია სატუსალოში გაზრდილი უაილოდი ამბობდა: თავის დიდებულ წყალში გამბანს ბუნება და მომარჩენს მწარე ბალახებითო, მაგრამ ახალ ცხოვრებისთვის ამდგარ უაილდს ვერ გაიგებდა ბუნება. იმდენხანს იყო მისთვის ბუნება დეკორაცია, რომ არ ეყოფოდა ჯადოქრობა მისი გაცოცხლებისთვის...

2.

ქალაქმა შექმნა ახალი სახეები, აქ ჩაეყარა საფუძველი ლიტერატურულ სკოლას, რომელიც ცნობილია სიმბოლიზმად. სიმბოლიზმი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მომწიფდა, კლასიკურ შეკლად იქცა და ერთი თვალთ უყურებს კიდევ თავის საფლავს. სიმბოლიზმის საინტერესო ასხნას იძლევა ფრანგი მწერალი რემი-დუ გურმონი:

—რა არი სიმბოლიზმი? კითხულობს გურმონი\*): „თუ დავეყრდნობით სწორ გრამატიკულ მნიშვნელობას სიტყვისას; თითქმის არაფერი. თუ კითხვას ვაფწყით ვანზე, მაშინ იმას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის: ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შექმედების თავისუფლება, დასწავლილ ფორმულების უარსყოფა, ლტოლვა ყოველივე არჩევულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი. ის ნიშნავს კიდევ იდეალიზმს, სოციალურ რიგის ფაქტების უგულებელ ყოფას, ანტიანატურალიზმს, ტენდეციას, მიმართულს იქით, რაც არი ცხოვრებაში დამახასიათებელი, ტენდეციას მხოლოდ იმ ხაზების ვადმოცემისას, რომელიც ერთ ადამიანს შეორისავან ანსხვავებს. სურვილს, დიქირო, ის რაც არსებითია... ჩვენ ვიღებთ ამ ფორმულას და გვინდა ვცადოთ გარკვევა, როგორ გამოიხატა ის ქართულ მწერლობაში. პირველად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კრიტიკაში ირევა ორი მცნება: სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი და სიმბოლიზმი, როგორც შეკლა: ეს, რასაკვირველია, შეცდომაა, მაგრამ უფრო უარესია როცა ირევა ერთმანეთში სიმბოლიზმი და ალგორია. ამას რომ ხშირად აქვს ადგილი, ეს იქედანაც სწანს, რომ თითქმის ყველა იდეოლოგი სიმბოლიზმის ანიშნავს ამის შერევის (კ. ბალმონტი, წიგნი „მთათა მწვერვალნი“. ვ. ბრიუსოვი, წიგნი, „შორეულნი და ახლომდენნი“).

ამას ჩვენში უფრო ბევრჯერ ქონია ადგილი. სწორედ აქედან დაიბადა ლევენდა ვაგაფშაველას სიმბოლისტიკობის.

სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა ვრ. რომაქიძემ. ბ. რომაქიძემ არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ეღობება ვაუგებრობის გაღავანი. იმას არაფრად დაჯდომა ძველ ლირებულებათა ვადღესების კანდიერება, ახალ მიებათა ფეიერვერკების ვასროლა. ისევე უაილოდ პიროვნების თავისუფლების და მუშანაურ მორალის დაპირდაპირება რედინგის ციხემდი მიიყვანა. რედინგი მისთვის ძალიან ადრე დაიწყო და საფლავშიც არ ვათავებულა. ვის არ ახსოვს პარიზის ალფლევა „სიმბოლისტიკის“ პირველ ლაშქრობაზე, ვ. სოლოვიოვის და ნ. მიხაილოვსკის რისხვა რუსეთელ სიმბოლისტთა გამოჩენაზე. საფიქრელი იყო, რადგან სხვავან ასეთი ალფლევა გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიც მონახავდენ ფიჩბებს ინკვიზიციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ ვრ. რომაქიძეს უთხარეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ: ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესტეტიური კულტურა ვრ. რომაქიძემდი.

\* ) იხ. შესავალი წიგნის: „წიგნი ნიღბთა“...

3.

პირველი მოციქული სიმბოლიზმის სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებას. გრ. რობაქიძის აქამდეწერილი სიტყვა, აღმადგინი ფანტაზია, თვლისმჭრელი სხეულები ძვირფასი მოგონებაჩვენი ახალგაზღობისა. პირველად იმან შეგვახედა იოჰანანის მოკრილ თავს, პირველად იმან მოგვასმინა ნიკოს მწვალებელი სიტყვა. ამ ბრწყინვალე ტურნირზე ძალიან ცოტანი იყვნენ რჩეულნი და მოწვეულნი, რომელთა გულშიც მოხვედროდესთ მისი სიტყვები. მაგრამ გრ. რობაქიძეს ეს მაინც არაფერს უშლიდა, ერთი ფრაზაც არ შეუცვლია, ერთი მხატვრული სხეუც არ მიუტანია მსხვერპლად იმისთვის, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, რაც იმაში უთუოდ ხაზს უსვამს დიდ მხატვარს. როგორც პირველი მოციქულები სახარების ქადაგების დროს არ კარგავდნენ თავიანთ პიროვნებას და თავისებურად ახვდოდნენ ქრისტეს (გერმანულ ფილოსოფიაში არის ტერმინი პავლიანინი ანალოგიური ქრისტიანობის) გრ. რობაქიძეც ამბობდა თავისას. ჯერ კიდევ არ არის გამოკვლევებული ეს ძვირფასი ნაშრომები და ისინიც, რომელნიც დაიბეჭდნენ, მოითხოვენ შესწავლას და ამ წერილში, რომელიც სახელდახელოდ იწერება, კანდიდობა იქნებოდა მათი შეხება.

ბევრი ქართველი მწერალი უცდია გრ. რობაქიძეს გაეზომა სიმბოლიზმის სახომით. მისი მჭრელი კეჟა ამ შემთხვევაში ათამაგებდა და ხელს უწყობდა, რაც სინამდვილეში არ არი, ის მოგჩვენებია სინამდვილეთ და ისე იყვენ დაგვირისტებული ეს აზრები - ვერც კი ამხნველი, რომ იცრებოდა შეუკერელი. აქედან არი ვაფა-ფშაველას და ი. გრიშაშვილის მოდერნიზტობის ისტორია.

მაგრამ საკმაო იყო თვითონ გრ. რობაქიძეს მოცუა ნამდვილი სიმბოლისტური ნაწარმოები, რომ განენილიყო გაუგებრობა.

გრ. რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია.

„კოკონში“ პირველად იკვლეა ნებით მთვარაღმა მენადამ ქართულ მწერლობაში. ანტიური სულის გაგებით და ლექსის ინსტრუმენტაციით ამ ლექსში გრ. რობაქიძე უახლოვდება რუს პოეტ ვიაჩესლავ ივანოვს, რომელიც ლექსის საუკეთესო ოსტატად არის მიჩნეული რუსეთში. მაგრამ გამოჩნდა, რომ ერთხელ სიტყვის ბატონად აღიარებულს სინტაქსის დაუწუნეს, გამხილდა თუ რამდენად მიღებულია სიმბოლიზმის პრინციპები, თუნდა იმ ახალგაზღობაში, რომელსაც ეკუთვნის გრ. რობაქიძის კრიტიკოსი ბ. კასრაძე. გრ. რობაქიძის ავტორული თავმოყვარეობა იმიტაც შეიძლება დაკმაყოფილდეს, რომ მისი „მარცხი“ რუს სიმბოლისტებსაც გააზიარებდეს, როგორც არიან „ჯაგლაგა ცხენები“: ვალერი ბრიუსოვი, ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი. ამ ჯაგლაგა ცხენებს შეეტლედ დ. კასრაძე არ გამოადგება, და ეს წერილიც ქართულად არის დაწერილი...

4.

\*ერთ ჩემს წერილში ვწერდი, რომ ჩვენში სიმბოლიზმს დამეც არ გაუთვგია მეთქი. მე ამას ახლაც ვიმეორებ. მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეეგუფება. მართალია ჯერ კიდევ ბინდია, მაგრამ ეს ბინდია საგარეოაყო. საზოგადოდ ჩვენ მწერლობაზე ფიქრი ვერ დაყენებს მოყვარულ გულს კარგ იმედებზე.

გ. მაიაშვილმა ერთ თავის წერილში „მეგობარში“ მრისხანე ხელით მილურსმა ერთი მეპრესე, დაარქვა რა იმას ბატონი შაბლონი. მე არ მახსოვს ამ მეპრესეს გვარი და რომ მახსოვდეს კიდევ, არ გავიმეორებდი, რადგან არ არი ღირსი მიეწეგოს გ. მაიაშვილის დიდ სახელს, მხოლოდ ეს თქმა დიდხანს დარჩება ჩვენს მწერლობაში. ბატონი შაბლონი დღეს მალაყიას ვადლის ჩვენს ლიტერატურაში. იგი შრაველსახიანია, მრავალ ფეხიანი და კოშმარივით აწევს ქართულ სინამდვილეს. მარტო პოლიტიკური ცხოვრება არ არი მისი მოედანი, ჭრილა „დროგით“ მწერლობაშიც შემოდის.

და გგონია კიდევ, რომ ის „ბედის ქულია“ ჩვენ საზოგადოებრივ აზროვნებას თანდაყოლილი. თუ რამდენად არი ჩვენი მწერლობა სიმბოლიზმისაგან კვლადამწეული, ეს შეიძლება აქედან დაინახოთ: ავიღოთ ძვირფასი სამება ჩვენი პოეზიის:

**✱ სანდრო შანშიაშვილმა** უკვე ნახა თავისი სახე. ცალკე წერილში მე შევეცებე მის ახლანდელ შემოქმედებას. აქ ჩემ თავს ნებას ვაძლევ მის წარსულს შევხვო. მისი პირველი გამოსვლა და სიმბოლისტად მონათვლა მაშინ მოხდა, როცა ის ერთი ხელით სთარგმნიდა ნადსონის და რატგაუზის იფე რომანსებს, მეორეთი მეტერლინცს, კ. ბალმონტს, ედგარ პოს. როგორ ამაჟდა ის ამ შეუღარებელ მწერლებს ერთმანეთს?

ეს სეკრეტია, და თუ გინდა სასწაულიც. მე ეს თარგმანები ახლაც მახსოვს. აქედანაც შეიძლებოდა დანახვა მგოსნის დიდი ნიჭის. რასაკვირველია, პირველი მწერლები არასდროს არ ნახავენ ადვილს ს. შანშიაშვილის წიგნში, მე ბოდიშს ვიხდი იმათ ვახსენებინათვისაც, მაგრამ ამაზე თავის დროს არავის მიუქცევია ყურადღება და ამჟამად როგორ იოლადა იძლეოდა სიმბოლისტობის პატენტერ.

**გ. ტაბიძეზე** ჩემი აზრი გამოვთქვი „საქართველოში“. ის ახალგაზდაა ამ სამებაში და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლისტისკენ გადახრა. „მე და დამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმია, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლისტისას. რაც ძვირად არ დაეფასოთ ის, რაც იმან მოგვეცა, მაინც იმაზე მეტი მომავალშია.

**ი. გრიშაშვილი** უსათუოდ გაშორდა ბესიკს, როგორც დღევანდელი თბილისი ერეკლეს დროის თბილისს. მაგრამ შორია ეს გზა? განა დაშორდენ ისინი ერთმანეთს ისე, რომ ვერ იცნონ? მე ვიცი—თქვენ მეტყეით გრიშაშვილის თვალის მჭკველ მეტაფორაზე, მაგრამ ვისი ბრალია, რომ თქვენ ბესიკი დაივიწყეთ?

შენის ბაგისა ორნივე მეცა: ტკბილი და მწარე,  
ორ-კეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე...

ეს ლექსი ბესიკის არი. შეადარეთ, რომელიც გინდათ პოეტური სახე ი. გრიშაშვილის და მაშინ დარწმუნდებით, რომ ბევრს ნიშნავს წარსულის უტოლინარობა. ი. გრიშაშვილი ძალიან დამთავრდა და ეხლა თავის თავს დაუწყო გადამღერება და უნდა მოხდეს ძირითადი ტეხილი მისი შემოქმედების, რომ არ დააქენს გვირგვინები. თუმცა იმ გვირგვინების ღირსი, რომელსაც იგი ატარებს, უსათუოდ არი.

ბელეტრისტიკაში **ნ. ლორთქიფანიძე** იპყრობს ყურადღებას. ნ. ლორთქიფანიძე ძუნწი თავადა, ძალიან ძვირად სწერს... მის ეტიუდებში მოსჩანს მხატვარი, მის ძვირფას



ოფორტებს ჩვენ გულით ვატარებთ. ეტიუდებში ისეთი ხვეულებია აზრების და გრძნობების, ისეთი გადასავალი ტრაგიულის გულუბრყვილოზე. ხანდისხან დასტოვესკისებური ავბორკობაც, რომ გრძნობ ჯადოქარის ხელსა და გინდა რომ დახაზოს დიდი სურათი, რომლის დახატვა ჯერ მართო იმას შეუძლია. არის აგრეთვე ტუმბაქ და სხვები, მაგრამ არ არის არც ერთი მწერალი, რომელიც ასახავდეს უნაკლოლოდ სიმბოლიზმის „L'art Poétique“-ს...

სრულიად მოულოდნელიად ამ წერილში მოხვდა თითქმის ყველა მწერალი, რომელიც აჩერებს ყურადღებას. ამიტომ მინდა მივუმატო კიდევ ორი: ვ. გაფრინდაშვილი და პ. იაშვილი. ამათ მოაქვთ რაღაც ჩვენს პოეზიაში და იმაში, რაც მათ მოაქვთ, არის გრძნობა, არის სიახლე. ვ. გაფრინდაშვილის „ძაღლის სიმღერა“ და „ოცნება წვიმაში“ უჩვეულოა ჩვენი პოეზიისთვის. „მეფის ქორწილი“ პ. იაშვილის იმის გარდა, რომ გაბრძოლებს ნათელი ფერადებით, პირველი ლექსია ქართულად ტრიოლეტებით დაწერილი. მე ვუტყვი რომ იმათ შერჩა თაიფული და უფრო გამოაჩინონ თავიანთი პოეტური სახე... ამათ მოაქვთ ჩვენში ნამდვილი მოდერნიზმი...

5.

არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისთვის? ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არი. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაცია ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად.

ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბის. და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია. ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისთვის.

გრიგოლ რობაქიძე ერთ თავის ლექსში სამი წლის წინად ამტკიცებდა, რომ არსებობს ერთგვარი „ატმოსფერული გავლენა იდეების“, რომელიც შეუცნობლად იპარება სულში. მერეეკოსეს ერთ შარშანდელ ფელეტონში ეს ამგვარი აფორიზმით გამოითქვა: ბევრს ჩვენგანს არ წაუკითხავს კანტის „კრიტიკა წმინდა გონების“, მაგრამ სიკვდილის დროს უსათუოდ იგრძნობს იმის გავლენას...

ამნაირად ყველა არგუმენტი იქეთვე არის, რომ სიმბოლიზმი აუცილებელია. მართალია დღეს ჩვენში მეფობს სუბურტი და გაურკვეველობა. ერთი ჩვენში უკვე სახეიანი კრიტიკოსი ურჩევს ახალგაზნად მწერლებს რაფიელ ერისთავს მიბაძონ, მაგრამ ეს გადაა თავისით.

ცხოვრება თავისას მოითხოვს და წაიღებს კიდევ. უტყუო რეცეპტებს არ ემორჩილება იგი. მწერლობა თავისით დაიხვეწება, კათაქვევლნი თვითონ მიხვდებიან წასვლის დროს და არ მოუტლიან შეძახებას...

6.

სიმბოლიზმი ჩვენში რომ უტოვოთიდან მოდის. ამაში არაფერი საფრთხე არ არი. ჩვენ ვცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრ სხვა და სხვა



კულტურის გაელენის ქვეშ. ბევრი გადმოიჟღერა იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმთავითვე გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისთვის შეეკმნა "ეფესის ტყაოსანი", რომელშიაც უაღრესად არი გამოჩენილი ქართული სული. უკანასკნელ დროს ჩვენში დამკვიდრდა ერთგვარი ცვლა ლიტერატურულ შკოლათა, იმ გეგმით, როგორც ევროპაში.

აქ იღებენ საშუალო ცვლაშია. როცა ხალხი იღებს სხვისაგან რამეს, იმას თავის ბრძმელში ატარებს. **ნაციონალური აპერტევიის** ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურობას ეკუთვნის, რასაც იმასთან ახლომდელი კავშირი აქვს.

სიმბოლიზმს ამ შემთხვევაში ბევრი შეუძლია მოუტანოს ქართველ ერს.

პირველ ყოვლისა ჩვენში დაიწყებულია **სიტყვა**. არ არსებობს ერთი შრომა, ქართული ლექსის ბუნებას რომ იკვლევდეს.

გულებით თქვენ რამეს ბესიკის და აკაკის ანბანთა ქება?..

სიმბოლიზმის, როგორც ფორმის გადმერთების გავება, როგორც პრიმატი "როგორის" "არაზე" — გაუგებრობაა. ამგვარი დასმა საკითხის მიუღებელია, რადგან იგი გულისხმობს განცალკევებას იქ, სადაც კონკრეტულად არსებობს მხოლოდ ერთიანობა. მაგრამ ფორმას უნდა მიეკცეს დიდი ყურადღება, **ვიტავი კიდევ** ჩვენში, სადაც სიტყვა კარგავს თავის თვისებებში **ღირებულებას**, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიეკცეს, და სრული **გატაცებაც მიით საჭირო არის**. ქართულ **სიტყვის** გაღატაკებას მიიპყრეს ყურადღება გრ. რომაქიმემ, არჩილ ჯორჯაძემ.

გერონტი ქიქოძემ ნათლად დაგვანახა თუ საწამლი მიიყვანა ვაჟამ სიტყვა. მე ვათავებ წერილს.

გრ. რომაქიმის ბარათში, რომელიც "ოქროს ვერძს" მისწერა, ის ამბობდა:

— "საქართველოს რენესანსი დაიწყო, წარმოვთქვი ერთხელ და ამ სიტყვების სიმართლეს დღითი დღე ვგრძნობ. მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდევ ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში აშკარავდება და კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ ფორმამ სძლიოს საყებით ქაოსსა. ეს ფიქრები შეზადება, როცა შევსცქერი უახლოესი ხელოვნების ზრდას."

ჩვენ გვიანდა დავიჯეროთ, რომ რენესანსი დაიწყო, მხოლოდ ძალიან დიდხანს ვასტანს ფორმისა დი ქაოსის ბრძოლა.

მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხედვს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე შესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეტენტიზმისა და ფუტურისმის.

ეს გზა აუცილებელია. როგორც უნდა ვათავდეს ომი, აშკარაა წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დაეხედეთ შექურცილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნულ კულტურის ყველა ფოლაქებ შეკრული, რომ იყოს მთავარი შორგვი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იღებები.

ჩვენ ვიზამთ ამას. მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი და ამ ეროვნულ აღორძინების სადღეგრძელოს სრულიად სერიოზულად ვსვამ "ცისფერ ყანწებით".